www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 5 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3360 (187) | ფასი 50 თეთრი

დიპლომატები საოკუპაციო ხაზთან

საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები გუშინ დიდ ხურვალეთს, დვანსა და დიცს ესტუმრნენ და ადგილზე არსებულ მდგომარეობას გაეცნენ. ასევე, ელჩები ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ და მათი პრობლემები მოისმინეს.

ელჩებთან ერთად, საოკუპაციო ხაზთან საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი და პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე იმყოფებოდნენ.

ადგილობრივების თქმით, მათთვის ასეთი ვიზიტები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მსგავსი შეხვედრების შემდეგ იმედიანად არიან. მთავრობის წარმომადგენლებმა მათ პირობა მისცეს, რომ მათთან უფრო ხშირად ჩავლენ.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მთავრობის წევრებთან ერთად, თავდაპირველად ხურვალეთში ჩავიდნენ, შემდეგ კი დიცსა და დვანში გაეცნენ ვითარებას.

აღსანიშნავია, რომ ხურვალეთისგან განსხვავებით, დიცში, საოკუპაციო ზოლთან, მავთულხლართების ნაცვლად, კაპიტალური ღობეებია აღმართული. ღობის იქით რუსი ოკუპანტების არანაირი აქტივობა არ შეინიშნებოდა, მხოლოდ ცოტა ხნით გამოჩნდა ორი მესაზღვრე, რომლებიც თავდაპირველად ე.წ. საზღვარზე გავლებული ღობისკენ გაემართნენ, თუმცა მალევე უკან გაბრუნდნენ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ჩანაწერი ბაჩო ახალაიას საქნიდან

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ბაჩო ახალაიას საკანში გადაღებული ფარული ვიდეომასალა გაავრცელა. მასალა სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულებაშია გადაღებული და მასში ჩანს, როგორ შედიან ახალაიასთან ციხეების საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის წევრები და დეპუტატი აკაკი მინაშვილი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვიდეოჩანაწერში საუბარიც ისმის.

მასალა, რომელიც ბრალდებულის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ კადრებს შეიცავს, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, 2012 წლის ნოემბერშია ჩაწერილი. ასევე, არსებობს ინფორმაცია, რომ ჩანაწერი რამდენიმესაათიანია, თუმცა ცენტრმა მხოლოდ ფრაგმენტები გამოაქვეყნა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე მიხეილ ღურწკაიას განცხადებით, კადრები კანონიერად არის ჩაწერილი, რადგან, ბაჩო ახალაიას საკანში ვიდეო და აუდიომეთვალყურება მისი თანხმობით ხორციელდებოდა.

რაც შეეხება ვიდეომასალის გავრცელებას, ღურწკაიას თქმით, ამაზე გამოძიება დაწყებულია.

„კადრები კანონიერად არის ჩაწერილი. ჩვენ ამოვიღეთ მასალები, არის შესაბამისი ბრძანება, არსებობს ბრალდებულის თანხმობა. საიდან გავრცელდა კადრები, ამაზე ვერ გიპასუხებთ. როგორც ვიცი, ამ საქმეზე გამოძიება დაწყებულია,“ - განაცხადა ღურწკაიამ.

მისივე განმარტებით, მეთვალყურეობაში აუდიო და ვიდეოთვალთვალი იგულისხმება.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ლამპედუზასთან დაკარგული მიგრანტების ძებნა გრძელდება

იტალიელმა მაშველებმა გუშინ ზღვაში არალეგალი მიგრანტების ძებნა გააგრძელეს, რომლებიც კუნძულ ლამპედუზასთან ჩაძირულ გემზე იმყოფებოდნენ. ქვეყანაში უკვე გამოცხადდა გლოვა იმ ადამიანების ხსოვნის პატივსაცემად, რომელთა გადარჩენაც ვერ მოხერხდა. „24 საათი“ გუშინ მოკლედ უკვე წერდა, რომ ხუთშაბათს ხმელთაშუა ზღვაში მდებარე იტალიურ კუნძულ ლამპედუზასთან გემი ჩაიძირა, რომელზეც, დაახლოებით, 500 ლტოლვილი იმყოფებოდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ამერიკის საბიუჯეტო კრიზისი უკვე მსოფლიოსაც აშინებს

ივა შილაკაძე



ამერიკაში ბიუჯეტის მიღება კვლავ ვერ ხერხდება, რაც ზოგი უწყების მუშაობას ნელ-ნელა უკვე ეტყობა. ამერიკელების უმრავლესობას ის ჯერ არ შეხებია და ალბათ არც შეეხება. ის უწყებები, რომლებმაც დროებით შეაჩერეს მუშაობა, ძირითადად, ტურისტულ ინდუსტრიას ემსახურებიან. მაგალითად, დახურულია სახელმწიფოს გამგებლობაში არსებული მუზეუმები, პარკები, არ გაიცემა ვიზები (არც საელჩოებში) და პასპორტები.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

CLOSE ENCOUNTERS 2013

გუშინ თბილისში აქტუალური მუსიკის შვეიცარიულ-ქართული ფესტივალი მეოთხედ დაიწყო

ფესტივალი ციურიხის მუსიკალურ სცენაზე ჩაისახა პიანისტ თამრიკო კორძაიასა და კომპოზიტორ ფელიქს პროფოსის ენთუზიასტურ იდეად და რომლის ყოველი ეტაპი, 2005 წლიდან მოყოლებული, მუდამ ახალ და საინტერესო ჭრილში დაანახვებს ხოლმე მსმენელს ძველის და ახლის, ტრადიციის და ავანგარდის, სხვადასხვა, ხშირად დიამეტრულად საწინააღმდეგო ესთეტიკური პოზიციების იმ ერთობას, ჩვენი დროის „ყველანაირობაში“ და მასთან დაკავშირებული ანტაგონისტური გამიჯვნა-დახარისხების სიტუაციაში ხშირად სამტკიცებელიც რომ ხდება.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მოკრივეები რვა კაცით მსოფლიოსთვის ემზადებიან

ჩანაწერი ბაჩო ახალაიას საქნიდან

პირველი გვერდიდან

„ბაჩო ახალაია თანახმაა ვიზუალურ და ელექტრონულ მეთვალყურეობაზე,“ - განაცხადა ღურწკაიამ და აღნიშნა, რომ ახალაიას თანხმობით, მისი თვალთვალი ე.წ. მატროსოვის ციხეში ამჟამადაც ხორციელდება.

აღნიშულ საკითხზე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც ასევე აღნიშნულია, რომ ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურება ბრალდებული ახალაიას თანხმობით ხორციელდებოდა.

„ბრალდებულ ბაჩანა ახალაიაზე ელექტრონული მეთვალყურება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 13 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე მიმდინარეობდა. აღნიშნულის შესახებ შედგა სათანადო ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ბრალდებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მიმართ ელექტრონული მეთვალყურების განხორციელების შესახებ იგი ინფორმირებული იყო და თანხმობა დადასტურებულია მისი ხელმოწერით.

მედიასაშუალებებით გავრცელებული ჩანაწერი 2012 წლის ნოემბერშია გაკეთებული.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2012 წლის 14 ნოემბერს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა საჯაროდ განაცხადა, რომ ბრალდებულ ახალაიას უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საკანში დამონტაჟებული იყო ვიდეოკამერა და ბრალდებული ამის შესახებ ინფორმირებული იყო. ამავე პერიოდში, მას საშუალება ჰქონდა, მნახველებს სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში შეხვედროდა, სადაც ელექტრონული მეთვალყურება შემოიფარგლებოდა მხოლოდ ვიზუალური კონტროლით.

პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია, განხორციელდეს ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურება. ამავე კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციას უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს აუდიო-ვიზუალური, ელექტრონული ან კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებები დაწესებულებიდან გაქცევის, სხვა დანაშაულისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და ბრალდებულთა ან მსჯავრდებულთა ყოფაქცევის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით,“ - ნათქვამია განცხადებაში.

ბაჩო ახალაიას საკანში ვიდეო და აუდიომონიტორინგის განხორციელების და ჩანაწერების წარმოების საკითხის კანონიერებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი სწავლობს.

„მედიასაშუალებებით გავრცელებული მასალა არა მხოლოდ ბაჩო ახალაიას, არამედ ასევე მასთან საკანში შესულ სხვა პირებსაც ეხებათ. ვიდეო და აუდიოთვალთვალის განხორციელების კანონიერების შესწავლის მიზნით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა მიმართა როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე მიხეილ ღურწკაიას, ასევე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ სოზარ სუბარს და მოითხოვა ბაჩო ახალიას მიერ ვიდეო და აუდიომონიტორინგის განხორციელებაზე გამოხატული თანხმობის ასლი, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მიზნით და რა სამართლებრივი საფუძვლით ხორციელდებოდა ვიდეო და აუდიომონიტორინგი, იყვნენ თუ არა ვიდეო და აუდიოთვალთვალის განხორციელების შესახებ ინფორმირებულები საკანში შემსვლელი სხვა პირები და რა ზომები გატარდა ვიდეო და აუდიოჩანაწერების უსაფრთხოებისა და არამართლზომიერი ხელყოფისგან დაცვის უზრუნველსაყოფად. დღეს გავრცელებული ჩანაწერების საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი სასჯელაღსრულების სისტემაში ვიდეო/აუდიომონიტორინგის განხორციელებისა და ჩანაწერების წარმოების საკითხის შესწავლას გეგმავს,“ - აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, ჩანაწერების საქმეზე გამოძიებას მთავარი პროკურატურაც აწარმოებს. გამოძიება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცალკეული თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო.

„გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია და ვიდეომასალა, რომელიც ასახავს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ერთ-ერთი დაწესებულების საკანში მოთავსებული პატიმრის ბაჩანა ახალაიას ცალკეულ პირებთან შეხვედრებსა და საუბარს,“ - ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბაჩო ახალაია მის საკანში ვიდეო და აუდიოჩანაწერების განხორციელებას უკანონოდ მიიჩნევს და სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს.

„ჩემი დაკავებიდან დღემდე საზოგადოებამ გაიგო არაერთი კანონდარღვევის შესახებ, რაც მიზნად ისახავდა ცრუ ბრალდებების შეთითხვნას და ჩემი მრავალი წლით ციხეში გამოკეტვას. მათ შორის, დღეს გამოქვეყნდა კადრები, სადაც ცალსახად ჩანს, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩემი საუბრები ადვოკატებთან, კომისიის წევრებთან და პარლამენტარებთანაც კი სრულიად კონტროლდებოდა და ეს ხდებოდა აბსოლუტურად უკანონოდ, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, რის გამოც სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს,“ - ნათქვამია ახალაიას განცხადებაში.

ბაჩო ახალაიას ადვოკატ რომეო საჯაიას განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი საკანში მხოლოდ ვიზუალურ კონტროლს დათანხმდა, რომლის დროსაც მხოლოდ მონიტორზე აკვირდებიან პატიმარს. საჯაია აცხადებს, რომ კანონი დაირღვა მონიტორინგის ჯგუფის წევრებისა და პარლამენტის წევრის მიმართაც, რომელსაც იმუნიტეტი იცავს.

„ნებისმიერი სახის აუდიო და ვიდეოჩაწერას სასამართლო თანხმობა სჭირდება. ამასთან, ბაჩო ახალაია არც აუდიო და არც ვიდეოჩაწერაზე თანახმა არ ყოფილა. ტყუილია ის, რასაც სად-ის თავმჯდომარე აცხადებს,“ - განაცხადა საჯაიამ.

ახალაიას ადვოკატ მალხაზ ველინჯაშვილის თქმით, სავარაუდოდ, მისი დაცვის ქვეშ მყოფის ადვოკატებთან შეხვედრებიც იწერებოდა, რადგან დაცვის მხარის მიერ დაგეგმილი შუამდგომლობები „ხშირად წინ დახვედრიათ.“

„არ ვიყავით ინფორმირებულები, შეხვედრები თუ იწერებოდა. სავარაუდოდ, ახლაც ასე ხდება, რადგან ბევრჯერ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფთან პირადი საუბრები, დაგეგმილი შუამდგომლობები წინ დაგვხვედრია. პროკურორსაც არაერთი მინიშნება გაუკეთებია. ჩვენ მიერ დაგეგმილი შუამდგომლობის შემდეგ პროკურატურა უფრო მომზადებული მოსულა. დიდი ალბათობით, ჩვენი შეხვედრები ყოველთვის იწერებოდა და ყოველთვის უსმენდნენ,“ - განაცხადა ველიჯანაშვილმა.

ახალაიას კიდევ ერთი ადვოკატის გოგა ონიანის განცხადებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს აუდიო-ვიდეოჩანერაზე სასამართლოს შესაბამისი ბრძანება არ გააჩნია, რაც დანაშაულია.

„ვინაიდან სასჯელაღსრულებაში აცხადებენ, რომ ამ ჩანაწერებზე ინფორმაცია ჰქონდა მინისტრს, აქედან გამომდინარე, დანაშაული ჩადენილია მინისტრის ორგანიზებით. ვიდეოკონტროლი აბსოლუტურად სხვა რამ არის, ვიდეოაუდიოჩანაწერი კი - აბსოლუტურად სხვა,“ - განაცხადა ონიანმა.

ბაჩო ახალაიას ადვოკატის ამ განცხადებას სასჯელაღსრულების მინისტრი გამოეხმაურა. სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ გოგა ონიანი **„სერიოზული პასუხის გაცემის ღირსი არ არის“**, რადგან ის **„მიტინგებს არბევდა.“**

„არ მგონია, გოგა ონიანი სერიოზული პასუხის გაცემის ღირსი და საგანი იყოს, ადამიანი, რომელიც დარბოდა და არბევდა მიტინგებს,“ - განაცხადა სუბარმა.

მისივე თქმით, ბაჩო ახალაია თანახმა იყო ვიზუალურ და ელექტრონულ თვალთვალზე. სასჯელაღსრულების მინისტრის განმარტებით, **„ელექტრონული თვალთვალი ყველანაირ საშუალებას ნიშნავს.“**

„პატიმრობის შესახებ“ კოდექსის მე-9 მუხლი იცნობს ვიზუალურ და ელექტრონულ თვალთვალს. ვიზუალური ნიშნავს, როცა აკვირდები თვალით და ელექტრონული ნიშნავს ყველანაირი სხვა საშუალების გამოყენებას, რაც სხვა კანონებშია განმარტებული. ამის გაკეთება საჭირო გახდა თვითონ ახალაიას განცხადებიდან გამომდინარე, რომ მას საფრთხე ემუქრებოდა. ამის შესახებ ის გაფრთხილებული იყო,“ - განაცხადა სუბარმა.

მისივე თქმით, უცნობია, თუ როგორ გავრცელდა ბაჩო ახალაიას საკანში გადაღებული ვიდეომასალა.

„სხვადასხვა უწყებებმა მოკვლევა დაიწყეს. როგორ გავრცელდა ეს ვიდეო, ამას პასუხი გაეცემა. ის, რომ კადრები გავრცელდა, უკვე კანონდარღვევაა, რადგან ამით გარკვეული კონფიდენციალურობის უფლებაა დარღვეული,“ - აღნიშნა სუბარმა.

ელექტრონული თვალთვალის შესახებ სასჯელაღსრულების მინისტრის განმარტებას არასამთავრობო ორგანიზაციები არ იზიარებენ. არასამთავრობოების ნაწილი ამ შემთხვევაში აუდიოთვალთვალის განხორციელებას უკანონოდ მიიჩნევს, რადგან ამაზე მოსამართლის ბრძანება არ არსებობდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ხელმძღვანელი გიორგი ტუღუში ამბობს, რომ ვიზუალური და ელექტრონული თვალთვალი ერთი და იგივეა და ეს უკანასნელი აუდიოჩაწერას არ მოიცავს.

„ვნახე ბრძანება თუ თანხმობა, რომელსაც დეპარტამენტი ციტირებს. იქ საუბარია ვიდეო და ელექტრონულ თვალთვალზე. გასაგებია, რომ კედელში გაკეთებული ხვრელიდან ვიზუალური თვალთვალი აღარ ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ელექტრონული თვალთვალი, რა თქმა უნდა, გულისხმობს ვიზუალურ თვალთვალს. რაც შეეხება აუდიომიყურადებას, ეს კატეგორიულად დაუშვებელია, წინააღმდეგობაში მოდის ყველანაირ სტანდარტთან და კანონის ნორმებთან. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში დეპარტამენტს მოუწევს, ის სამართლებრივი დოკუმენტი წარმოადგინოს, რომლის საფუძველზეც აუდიოჩანაწერი კეთდებოდა. მით უმეტეს, აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ დეპარტამენტმა, ფაქტობრივად, თქვა, რომ საკანში 24-საათიანი აუდიომიყურადება წარმოებდა, ანუ გამოდის, რომ სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს, რომლებიც, ახალაიასთან საკანში, სავარაუდოდ, დადიოდნენ, და ადვოკატებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი უსმენდა. ჩვენ ძალიან დიდ პრობლემასთან ვდგავართ. ეს ყოველგვარი საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმის და სტანდარტის უგულებელყოფაა,“ - განაცხადა გიოგი ტუღუშმა „რუსთავი 2»-თან საუბარში.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ამბობენ, რომ როგორც ადვოკატებთან, ისე მონიტორინგზე შესულ პირებთან შეხვედრა კონფიდენციალურია და აუდიოთვალთვალი დაუშვებელია.

„როგორც ბაჩო ახალაიას ადვოკატები აცხადებენ, პატიმარი ინფორმირებული იყო მხოლოდ ვიდეოკონტროლზე და არა - აუდიოკონტროლზე. ვიდეოკონტროლის შემთხვევაში ხდება მხოლოდ გამოსახულების კონტროლი, აუდიო კონტროლის შემთხვევაში კი ისმინება ხმა და დიალოგი პატიმარსა და იმ პირებს შორის, ვინც ის მოინახულა. ძალიან მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის საკითხი, რომ მონიტორინგზე შესულ პირებს და ბაჩო ახალაიას შორის საუბარი ჩაიწერა, რასაც დაუშვებლად მივიჩნევთ. რადგან, როგორც ადვოკატთან, ასევე მონიტორინგზე შესულ პირებთან შეხვედრაც კონფიდენციალურია,“ - განაცხადა „საიას“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკატერინე ფოფხაძემ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი, რომელიც ბაჩო ახალაის საკანში მონიტორინგზე იმყოფებოდა, ამბობს, რომ მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ვიზუალური თვალთვალის შესახებ იცოდნენ, მაგრამ აუდიოთვალთვალის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ.

„ვიცოდით, რომ ვიზუალური კონტროლი ხორციელდებოდა, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო აუდიოკონტროლი. მით უმეტეს მონიტორებთან, რომლებსაც უნდა გამოგვეტანა ინფორმაცია, ჰქონდა თუ არა ბაჩანა ახალაიას პრობლემები ციხეში,“ - ამბობს ჟურნალისტი.

ბაჩო ახალაის საკანში, ვიდეო და აუდიოთვალთვალის შესახებ კომენტარი გააკეთა „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ.

„ციხეში არსებული პრობლემები იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მწვავე პრობლემა წინა წლების განმავლობაში, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მწარე გაკვეთილი, რომელიც ჩვენ მივიღეთ წინა წლებიდან და ვწუხვარ, რომ დღესაც, როგორც ჩანს, იქ არსებული სიტუაცია არ იძლევა დამშვიდების საფუძველს. ამიტომ ვფიქრობ, ეს ის თემაა, სადაც ერთმანეთზე გადაბრალების და ნიშნის მოგების მაგივრად, უნდა გავიაზროთ და ყველამ ერთად გადავდგათ ნაბიჯი, რათა ციხეში არსებული პრობლემები ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნას,“- განაცხადა დავით ბაქრაძემ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას თქმით კი, გამოძიების საგანია ის, თუ რატომ დამზადდა და გასაჯაროვდა ჩანაწერების ასლი.

„ეს ვიდეო და ელექტრონული კონტროლი, რომელიც აუდიო-ვიდეოკონტროლს გულისხმობს, ხორციელდებოდა, როგორც მინისტრმა თავად განმარტა, თავად ახალაიას თანხმობით. რომ არ ყოფილიყო მისი თანხმობა, ბუნებრივია, ამ ჩანაწერების განხორციელება კანონიერი არ იქნებოდა. რატომ მოხდა ამ ჩანაწერების ასლის დამზადება და შემდეგ მისი გასაჯაროება ანუ გატანა, ეს უკვე გამოძიების საგანია,“ - განაცხადა ბესელიამ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვიქტორ დოლიძე მიიჩნევს, რომ თუ კანონი დაირღვა, პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

„აქ ორი აზრი არ არსებობს. არა აქვს მნიშვნელობა, ახალაიას წინააღმდეგ დარღვევენ კანონს თუ ვიქტორ დოლიძის წინააღმდეგ. ეს თუ ასეა, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს,“ - ამბობს ვიქტორ დოლიძე.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი აკაკი მინაშვილი მიიჩნევს, რომ პატიმრის უფლებები დაირღვა და „ქართულ ოცნებას“ წინასაარჩევნო დაპირებას ახსენებს.

„საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვს „ქართული ოცნების ის დაპირება, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ადამიანის უფლებებს და პირადი ცხოვრების თავისუფლებას დაიცავდნენ. როგორც სხვა დანარჩენი დაპირებები, ეს პირობაც ტყუილი აღმოჩნდა. ჩვენ კიდევ ერთხელ ვნახეთ ფაქტი, რომ თვალთვალი და, რაც მთავარია, მიყურადება - აუდიო-მოსმენა ხდება, რითიც პატიმრის უფლებები ირღვევა. ეს ამ ხელისუფლების სახეს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს,“ - აღნიშნავს მინაშვილი.

დემირელის კოლეჯი

აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას I-XII კლასებში და ხსნის

I კლასისთვის მოსამზადებელ ჯგუფს 4-5 წლის ბავშვებისათვის.

ტრადიციულად, დემირელის კურსდამთავრებულებმა წელსაც ისახელეს თავი და ჩაირიცხნენ აშშ-ს, თურქეთის და საქართველოს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.

ათმა მოსწავლემ მოიპოვა 100%-იანი გრანტი, ოთხმა მოსწავლემ 70%-იანი გრანტი, შვიდმა მოსწავლემ 50%-იანი გრანტი.

მისამართი: ორთაჭალა გრიშაშვილის N 51

ტ: 2 75 24 58

სოციოლოგიურ კვლევაში პრეზიდენტობის კანდიდატები პოზიციებს ინარჩუნებენ

ამერიკულმა კვლევითმა კომპანიამ „გრინბერგ, ქუინლან, როზნერ რისერჩმა“ (Greenberg, Quinlan, Rosner Research), პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაკვეთით, საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩაატარა. კვლევის შედეგები პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გუშინ გამოაქვეყნა.

გამოკითხვა 2013 წლის 15-21 სექტემბრის პერიოდში საქართველოს მთელს ტერიტორიაზე (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) 1 204 პირისპირ ინტერვიუს მოიცავს. კვლევის ცდომილების ხარისხი 2-3 პროცენტია.

პრეზიდენტის ადმინისტრაცია კვლევის ჩატარებას 27 ოქტომბრის არჩევნების მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით ხსნის.

კვლევის თანახმად, კითხვაზე - დღეს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდეს რომელ კანდიდატს მისცემდით ხმას, 43 პროცენტი გიორგი მარგველაშვილს ასახელებს; 22 პროცენტი - დავით ბაქრაძეს; 8 პროცენტი - ნინო ბურჯანაძეს; 5 პროცენტი - შალვა ნათელაშვილს; 1-1 პროცენტი კი გიორგი თარგამაძესა და კობა დავითაშვილს უცხადებს მხარდაჭერას. გამოკითხულთა 17-ს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული კვლევა NDI-ს სოციოლოგიური კვლევის მონაცემებთან საკმაოდ ახლოა.

„გრინბერგ, ქუინლან, როზნერ რისერჩის“ კვლევის მონაცემებითაც უცვლელია საქართველოს მოსახლეობის საგარეო პოლიტიკური არჩევანი. გამოკითხულთა უმეტესობა ევროკავშირსა და ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას ემხრობა. რესპონდენტთა პასუხები ასე გადანაწილდა: საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას სრულად და მეტ-ნაკლებად ემხრობა გამოკითხულთა 80 პროცენტი. ამას 1 პროცენტით ჩამორჩება ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობა.

სოციოლოგიურ კვლევაში ასევე შეფასებულია „ეკონომიკის წინსვლის“ თვალსაზრისით პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა. ამ მიმართულებით ივანიშვილის მიერ გაწეულ სამუშაოს არ ემხრობა გამოკითხულთა 66 პროცენტი, ხოლო ემხრობა - 25 პროცენტი.

იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარება, მაისის შემდეგ 58 პროცენტიდან 45-მდე შემცირდა, ხოლო გამოკითხულთთა 36 პროცენტი აღნიშნავს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება, რაც წინა მონაცემებზე 16 პროცენტით მეტია.

20 პროცენტიდან 76-მდე გაიზარდა მათი რიცხვი, ვინც მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკა ამჟამად სუსტია. 22 პროცენტიდან 18-მდე შემცირდა მათი რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ეკონომიკა ძლიერია.

გამოკითხულთა 29 პროცესი ამბობს, რომ მის ირგვლივ სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობა უარესდება, ხოლო 8 პროცენტის აზრით - უმჯობესდება.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:

მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.

რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)

სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

დიპლომატები საოკუპაციო ხაზთან

პირველი გვერდიდან

დავით ზალკალიანის განცხადებით, ოკუპაციის ხაზის გასწვრივ ჩასვლის იდეა ორი კვირის წინ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე გაჩნდა და ეს თხოვნა ელჩებისგან წამოვიდა.

„ძალიან მნიშვნელოვანია, მათ საკუთარი თვალით ნახონ ადგილზე შექმნილი სიტუაცია. ერთია, როდესაც ისინი იღებენ ინფორმაციას ჩვენგან ან სხვადასხვა წყაროებიდან, მაგრამ მთავარი, ვფიქრობ, მაინც სიტუაციის ადგილზე უშუალოდ ნახვაა,“ - განაცხადა ზალკალიანმა.

ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, შსს წარმომადგენელმა კახა ქემოკლიძემ, რომელიც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართული შეხვედრების უშუალო მონაწილეა, დიპლომატებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა, თუ რა პროცესები მიმდინარეობს და როდის დაიწყო ე.წ. საზღვარზე ღობეების აღმართვა. ასევე, ელჩებმა შეიტყვეს, თუ რა სირთულეები ექმნება ადგილობრივ მოსახლეობას გადაადგილების კუთხით.

„ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია ელჩებმა საკუთარი თვალით ნახონ ადგილზე შექმილი ვითარება, რადგან ჩვენ ეს დაგვეხმარება საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული მცდელობების კონსოლიდაციაში, - განაცხადა ზალკალიანმა, - **აქედან გამომდინარე, ყველა ასეთი ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ მომავალშიც დეტალურად გავაგრძელებთ მათ ინფორმირებას.“**

მისივე თქმით, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში ძალიან რთული ვითარებაა.

„თქვენ მოწმე გახდით იმისა, თუ როგორ არის გაყოფილი სახლები, როგორ არის მავთულხლართებს იქეთ დარჩენილი მოსახლეობის ერთი ნაწილი, რომელსაც საკუთარი სალოცავების, საფლავების მონახულების საშუალება არ ეძლევა. ადამიანური განზომილებიდან ეს, მართლაც, დაუშვებელია. 21-ე საუკუნეში ისეთი ფუნდამენტური უფლება, როგორიც თავისუფალი გადაადგილების უფლებაა, არ შეიძლება, ირღვეოდეს და საერთაშორისო თანამეგობრობამ ამის წინააღმდეგ ხმა უნდა ამოიღოს,“ - განაცხადა ზალკალიანმა.

მისივე განმარტებით, ელჩებს უნდა ჰქონდეთ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია, რათა შემდეგ თითოეულმა მათგანმა თავის დედაქალაქს მიაწოდოს.

„სწორედ ასეთი ჩასვლითა და ვიზიტებით შეძლებენ ისინი, ინფორმაცია პირველი წყაროდან მიიღონ, - განაცხადა დავით ზალკალიანმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას თქმით, დიპლომატები ნამდვილად არ ელოდებოდნენ ისეთ სიტუაციას, რაც საოკუპაციო ზოლთან მდებარე სოფლებში დახვდათ.

ნარმანიას განცხადებით, ისაუბრეს იმ საჭიროებებზე, რაც იქაურ მოსახლეობას აწუხებს და რაც შეიძლება, ერთობლივად მოგვარდეს.

მინისტრის თქმით, მთავრობა ამ მოსახლეობას უკვე ეხმარება. ნარმანიას ცნობით, 38-ივე სოფელის შესახებ, რომლებიც გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზეა, უკვე არსებობს კონკრეტული ინფორმაციები, თუ რა პრობლემები აქვთ და ამ პრობლემების ნაწილი მოგვარებულია. მისი თქმით, პირველ ეტაპზე მიმდინარეობს წყალსადენების სისტემის მოწესრიგების სამუშაოები. 10 სოფელში წლის ბოლომდე ამბულატორიები გაიხსნება.

„ყველაზე გადაუდებელი, რასაც ეს ადამიანები ითხოვენ, ზამთრის მოახლოებასთან ერთად, შეშით უზრუნველყოფაა,“ - აღნიშნა მინისტრმა და დასძინა, რომ ამ პრობლემის მოგვარებაზე მთავრობას გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილის განცხადებით, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ელჩების ვიზიტი იმის დასტურია, რომ მსოფლიო ოკუპაციას ეუბნება - არას.

„ჩვენ ახლა მავთულხლართებთან ვდაგავართ, ეს ოკუპაციის გაგრძელების ერთ-ერთი სამარცხვინო ფორმაა, რომელიც ცხინვალის მიმართულებით ასე გამოიყურება, აფხაზეთის მიმართულებით ამას მიწათხრილებისა და კედლების ფორმა აქვს. ზოგადად, რა თქმა უნდა, ეს მიუღებელია ყველანაირი თვალსაზრისით, იქნება ეს სამართლებრივი, ჰუმანიტარული თუ ა.შ.“ - განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

თავად დიპლომატებმა კი საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში განვითარებული მოვლენები ბერლინის კედელს შეადარეს და აღნიშნეს, რომ ვითარება ტრაგიკულია.

ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ივან იესტრჟაბის განაცხადებით, მავთულხლართების გავლებით ადგილობრივების საკუთრების უფლება ირღვევა.

„მივიღეთ ინფორმაცია ე.წ. სახრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან საზღვრის ინტენსიური გავლების შესახებ. ამიტომ დიპლომატიურ კორპუსმა გადაწყვიტა, ადგილზე ნახოს და შეამოწმოს ეს ყველაფერი, რადგან ეს არის ქმედება, რომელიც ხალხს გადაადგილებას უკრძალავს და ერთმანეთს აშორებს. მავთულხლართების გავლებით ადგილობრივი მცხოვრებლების საკუთრების უფლება ირღვევა. გვინდა, ყველაფერი ვნახოთ და შევამოწმოთ, რათა უკეთ გავიგოთ, რა ხდება,“ - აღნიშნა ელჩმა.

„ვითარება, რასაც ჩვენ ვხედავთ, ტრაგიკულია. მე ეს მაგონებს ბერლინის კედელს, როდესაც ხელოვნურად აღმართული ბარიერებით ხდება ხელის შეშლა, ადამიანები ვერ ახერხებენ თავიანთ მინდვრებზე და წინაპრების საფლავებზე გასვლას. მიუხედავად იმისა, რომ ჟენევაში მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ეს უფრო ჰუმანიტარული, ადამიანური ასპექტია, რაც ადამიანების ცხოვრებას ეხება და ამის გადაწყვეტა ასეთ ადამიანურ დონეზე შეიძლება,“ - განაცხადა აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა.

მოსამართლეები 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით განწესდებიან

დათო გამიხონია

პარლამენტმა გუშინ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ბოლო პლენარული სხდომა ჩაატარა. პარლამენტარები კანონპროექტების განხილვას, რეგლამენტის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გააგრძელებენ.

კანონმდებლებმა «საერთო სასამართლოების შესახებ» ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები დაჩქარებული წესით, მე-2-3 მოსმენით დაამტკიცეს.

კანონპროექტის მომხსენებელი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე შალვა შავგულიძე აღნიშნავს, რომ კანონპროექტის მომზადება 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით არის განპირობებული, რომლებიც ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ამოქმედდება. ცვლილებები მიზნად ისახავს მოსამართლის უვადოდ დანიშვნას, მანამდე კი გამოსაცდელი ვადით განწესებას.

კონსტიტუციის 86-ე მუხლში ნათქვამია, რომ მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. ამევე დროს, კონსტიტუცია იმასაც უშვებს, რომ მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება, გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

შალვა შავგულიძემ არჩევანი კონსტიტუციური ნორმის მეორე ნაწილზე გააკეთა, რომლის მიხედვით კანონპროექტში ასახული იყო, რომ მოსამართლის უვადოდ დანიშვნის შესახებ საკითხის გადაწყვეტამდე 3-წლიანი ვადით განწესების წესი შემოდის. როგორც შავგულიძე ამბობს, 3-წლიანი ვადის განმავლობაში მოსმართლის საქმიანობას მონიტორინგი უნდა ჩაუტარდეს და თითოეული წელი შეფასდეს. მონიტორინგი კი, შავგულიძის თქმით, ისეთი წესითა და კრიტერიუმებით უნდა ჩატარდეს, რაც მოსამართლის საქმიანობის დამოუკიდებლობაში ჩარევას გამორიცხავს და ამავე დროს, მის საქმიანობას ობიექტური კრიტერიუმებით შეაფასებს.

შალვა შავგულიძემ სამოსამართლეო საქმიანობის საერთაშორისო რეგულაციები მოიხმო. **მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპის ქარტია მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნას ითვალისწინებს. ოღონდ გარკვევით არის აღნიშნული, რომ გამოსაცდელი ვადის პერიოდში მოსამართლეთა მონიტორინგისთვის ისეთი კრიტერიუმები უნდა შეირჩეს, რომლებიც მათ საქმიანობაში დამოუკიდებლობას და საქმიანობის ობიექტურ შეფასებას უზრუნველყოფს. იქვე მითითებულია, რომ მონიტორინგი უნდა განახორციელოს ორგანომ, რომელიც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი იქნება. ამ ორგანოს შემადგენლობაში სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები მნიშვნელოვანწილად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი. ისინი სასამართლო კორპუსის ყველაზე უფრო წარმომადგენლობითი ორგანოების არჩეულები უნდა იყვნენ,** - ამბობს შალვა შავგულიძე.

საქართველოს შემთხვევაში მონიტორინგის ორგანოდ შავგულიძეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ესახება.

რაც შეეხება კონკრეტულად ევროპული ქვეყნების პრაქტიკას, გერმანიაში უვადოდ განწესებამდე მოსამართლეთა საქმიანობის მონიტორინგი 5 წელს შეადგენს. როგორც შავგულიძე აღნიშნავს, იტალიაში კი უვადოდ განწესებულ მოსამართლეებს მონიტორინგი ყოველ 4 წელიწადში ერთხელ უტარდებათ. **მე-7 მონიტორინგის დადებითი შედეგის შემთხვევაში, 28-წლიანი საქმიანობის შემდეგ უვადოდ დანიშნულ მოსამართლეებს მონიტორინგი აღარ უტარდებათ. ხოლო, თუ მისი საქმიანობა დადებითად არ შეფასდება, მას სამოსამართლო საქმიანობა შეუწყდება,** - აღნიშნა შავგულიძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი პარლამენტს კანონპროექტის განხილვის შეჩერებისკენ მოუწოდებდა. კუბლაშვილი პირობას დებდა, რომ ახალი მოსამართლეების დანიშვნა აპრილამდე შეჩერდებოდა. ამით, კუბლაშვილის განმარტებით, შესაძლებელი იქნებოდა იმ პრობლემის თავიდან აცილება, რასაც კონსტიტუციის 2010 წლის მოდელის ამოქმედების შემდეგ მოსამართლეთა დანიშვნის წესით გამოწვეული გაურკვევლობა შექმნიდა. აპრილამდე კი კუბლაშვილი ფართო განხილვების გამართვას ითხოვდა.

პარლამენტმა კონსტანტინე კუბლაშვილის წინადადება არ გაიზიარა, მაგრამ კანონპროექტში ცვლილებები მაინც შევიდა. კანონპროექტში მოსამართლეების უვადოდ დანიშვნამდე 3-წლიანი გამოსაცდელი ვადა შენარჩუნდა. ყველაზე მეტ კითხვას კი, როგორც შავგულიძე ამბობს, მონიტორინგის წესი და კრიტერიუმები იწვევდა, რომლებიც, მისი აზრით, პროექტში კარგად იყო გაწერილი, თუმცა პარლამენტი სიფრთხილეს იჩენს და ამ საკითხს ღიად ტოვებს. კანონპროექტში მიუთითეს, რომ მონიტორინგის წესებს და კრიტერიუმებს პარლამენტი 2014 წლის 1 მაისამდე ჩამოაყალიბებს. მანამდე კი, როგორც შავგულიძემ აღნიშნა, მოსამართლეთა კორპუსის ჩართულობით ფართო განხილვები გაიმართება.

უვადოდ დანიშვნის მიზნით, 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით განწესება, ყოფილ მოსამართლეებთან და ახალ კანდიდატებთან ერთად, მოქმედ მოსამართლეებსაც შეუძლიათ. თუმცა, ამისთვის მოქმედმა მოსამართლემ უფლებამოსილება უნდა მოიხსნას და 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით განწესებას უნდა დათანხმდეს.

საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა, ჟურნალისტებთან საუბარში, კონსტანტინე კუბლაშვილის წინადადების მხარდაჭერა გამოხატეს, თუმცა პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას დავით უსუფაშვილი უხელმძღვანელებს

პარლამენტში საბოლოოდ დაამტკიცეს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომლითაც პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება იზღუდება. პროექტის ჯერ კიდევ პირველი მოსმენით განხილვისას უმცირესობის წევრები უმრავლესობას მხარდაჭერას იმ დათქმით დაჰპირდნენ, თუ ხელისუფლება კონსტიტუციის შესწორებისთვის საჭირო კვორუმის სამი მეოთხედიდან ორ მესამედამდე დაწევის საკითხს დღის წესრიგში არ დააყენებდა. კვორუმის საკითხის განხილვა პარლამენტში მართლაც შეჩერდა, შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის უფლებებთან დაკავშირებული ცვლილება პარლამენტმა 103 ხმით, ერთხმად დაამტკიცა.

ახლად დამტკიცებული ცვლილება კონსტიტუციის 2010 წლის მოდელში (რომელიც ახლად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ამოქმედდება) იმ ნორმის გაუქმებას ითვალისწინებს, რომლის თანახმად, მთავრობას უფლება აქვს, პარლამენტს კანონპროექტი შესთავაზოს და მას მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი დაურთოს. მოქმედი ნორმის თანახმად, თუ პარლამენტი ამ კანონს არ მიიღებს, მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადების პროცედურა ავტომატურად დაიწყება. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი მთავრობისთვის უნდობლობის

გამოსაცხადებლად საკმარის ხმებს ვერ მოაგროვებს, კანონი, პარლამენტის დამტკიცების გარეშე, პრემიერის ხელმოწერით ამოქმედდება. ახალი ნორმით აღნიშნული დებულება უქმდება. ხოლო, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების

საკითხი შეიძლება, მხოლოდ ბიუჯეტის პროექტის მიღებას დაერთოს.

ახალი ცვლილება პარლამენტის მიერ მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანაზე კონტროლსაც ეხება. კერძოდ, მთავრობის თავდაპირველი შემადგენლობის ერთი მესამედით, მაგრამ არანაკლებ მთავრობის ხუთი წევრით განახლების შემთხვევაში, მთავრობის გადახალისებული შემადგენლობა ნდობის მისაღებად პარლამენტის წინაშე უნდა წარდგეს.

კენჭისყრის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, თუმცა, არანაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები ჯერ წინ არის.

პარლამენტის თავმჯდომარე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში მოსამზადებელ პროექტს გულისხმობდა, რომლის მიზანიც კონსტიტუციის ფუნდამენტური გადახედვაა. პარლამენტმა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ დადგენილება გუშინვე მიიღო, რომლის თანახმად, კომისიის თავმჯდომარემ პარლამენტს ერთი თვის ვადაში დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს კომისიის დებულების პროექტი, რომლითაც კომისიის სტრუქტურა, საქმიანობის წესი, საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები, კომისიაში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები და სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება.

სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ პარლამენტს ასევე ერთი თვის ვადაში დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს კომისიის შემადგენლობა, ისე რომ გათვალისწინებული იყოს წარმომადგენლობის შემდეგი პრინციპები: 1. საპარლამენტო ფრაქციების და უფრაქციო პარლამენტის წევრთა ჯგუფის მიერ პროპორციულობის პრინციპის დაცვით დასახელებული პარლამენტის არა უმეტეს 20 წევრისა. 2. იმ კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების თითო წარმომადგენელი, რომლებიც დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის მეშვეობით პარლამენტში წარმოდგენილები არ არიან. 3. იმ არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიების თითო წარმომადგენელი, რომელთა მიერ დასახელებული საპრეზიდენტო კანდიდატი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა 3 პროცენტზე მეტის მხარდაჭერას მიიღებს.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში ასევე შევლენ: საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს და აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეები, სახალხო დამცველი, იუსტიციის მინისტრი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, მთავრობის საპარლამენტო მდივანი და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე.

ამავე პროექტის თანახმად, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში წარმოდგენილი უნდა იყოს სამართლის, საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო მართვის არაუმეტეს 20 ექსპერტ-სპეციალისტი და ამავე სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიას პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი უხელმძღვანელებს.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ კონსტიტუციის პროექტი პარლამენტს 2014 წლის 1 სექტემბრამდე უნდა წარუდგინოს.

პოლიცია: „კაპიტოლიუმთან სროლა ტერორიზმს არ უკავშირდება"

ამერიკის კონგრესის შენობის წინ მომხდარ სროლას პოლიციამ ტერაქტის კვალიფიკაცია არ მისცა. კაპიტოლიუმის წინ პოლიციამ ქალი მოკლა, რომელიც მანამდე მანქანით თეთრი სახლის ჭიშკრის შენგრევას შეეცადა. ინციდენტის დროს ორი პოლიციელი დაშავდა - ერთი თეთრ სახლთან, მეორე კაპიტოლიუმთან, დევნის დროს. ირაღით ჭრილობა არცერთ პოლიციელს არ მიუღია. მანქანაში კი, დაახლოებით, ერთი წლის ბავშვი იპოვეს, რომელიც უსაფრთხო ადგილზეა გადაყვანილი. ეს ქალი აღმოჩნდა ვინმე მირიამ კეირი, 34 წლის სტომატოლოგი-ჰიგიენისტი სტემფორდიდან. სავარაუდოდ, მას ფსიქიკური პრობლემა ჰქონდა, რომელიც ფეხმძიმობის შემდეგ გაუმძაფრდა. მანქანაში ნაპოვნი ერთი წლის ბავშვი მისი შვილი აღმოჩნდა.

უკრაინა-რუსეთის საზღვარზე მამაკაცმა თავი აიფეთქა

უკრაინა-რუსეთის საზღვარზე, სუმის ოლქში, არალეგალმა საკუთარი თავი და კიდევ ორი მესაზღვრე ააფეთქა. „ინციდენტის შედეგად კანონის დამრღვევი დაიღუპა, ორი მესაზღვრე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება," - ნათქვამია უკრაინის სასაზღვრო სამსახურის განცხადებაში. გავრცელებული ინფორმაციით, ის რუსეთიდან უკრაინაში მოლდავური ნომრების მქონე მიკროავტობუსით აპირებდა შესვლას. ამ ინციდენტის შემდეგ უკრაინის სასაზღვრო სამსახურმა უკრაინა-რუსეთის საზღვრის დაცვა გააძლიერა.

ისრაელს 2019-2020 წლებში გაეროს უშიშროების საბჭოში ადგილის დაკავება სურს

ხუთშაბათს, ისრაელმა განაცხადა, რომ 2019-2020 წლებში გაეროს უშიშროების საბჭოში როტაციული ადგილის დაკავება სურს. თუმცა, როგორც გაეროში დიპლომატები აღნიშნავენ, ეს ადვილი მისაღწევი არ იქნება. „ჩვენ ამის მიღწევა გვინდა. ეს დროის საკითხია," - განაცხადა ისრაელის ელჩმა გაეროში რონ პროსორმა. უშიშროების საბჭოში ადგილის მოსაპოვებლად გენერალური ასამბლეის 193 წევრის 2/3-ს თანხმობაა საჭირო. კანდიდატები ხუთი რეგიონიდან იქნებიან წარმოდგენილნი, თუმცა მათ არჩევნებში გენერალური ასამბლეის წევრი 193-ვე ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. ამ დროისთვის ისრაელს გაეროს გენერალურ ასამბლეაში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა უჭირავს, თუმცა ეს ქვეყანა გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი არასდროს ყოფილა. გაეროს ყველაზე გავლენიან ორგანოს სწორედ უშიშროების საბჭო წარმოდგენს, რომელსაც სანქციების გაცემისა თუ სამხედრო ძალის გამოყენებაზე ნებართვის გაცემის უფლებამოსილება გააჩნია.

მადაგასკარზე ბრბომ ორი ევროპელი ცოცხლად დაწვა

მადაგასკარზე გამხეცებულმა ბრბომ ცოცხლად დაწვა ორი ევროპელი მამაკაცი, რომლებიც ადამიანის ორგანოების კონტრაბანდაში დაადანაშაულეს. „ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, კუნძულ ნუსი-ბეში ბავშვი დაიკარგა. ამის გამო პოლიციამ ოთხშაბათს ერთი ადგილობრივი დააკავა. ადგილობრივები პოლიციის შენობასთან შეიკრიბნენ. მათი აზრით, მან ბავშვი ორგანოების გამო მოკლა, რაშიც ფული აიღო. ამის შემდეგ, პოლიციის ცნობით, ადგილობრივები იმ სახლში შეიჭრნენ, სადაც უცხოელები ცხოვრობდნენ და ორი ადამიანი, რომლებსაც ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში დასდეს ბრალი, ცოცხლად დაწვეს. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი საფრანგეთის მოქალაქეები არიან. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, ამ უცხოელების ოთახის მაცივარში 8 წლის ბიჭის ორგანოები აღმოაჩინეს.

ასადი თურქეთს აფრთხილებს

სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის განცხადებით, მეამბოხეების მხარდამჭერა თურქეთს ძვირი დაუჯდება. პრეზიდენტმა თურქეთი დაადანაშაულა ტერორისტების მფარველობაში, რომლებიც მისი გადაყენებისთვის იბრძვიან. თურქული ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ასადმა თურქეთის პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანს „ფანატიკოსი" უწოდა, რომელიც ტერორისტებს ნებას რთავს, სირიის ტერიტორიაზე შევიდნენ და ქვეყნის არმიასა და მოქალაქეებს თავს დაესხნენ. „უახლოეს პერიოდში ეს ტერორისტები თურქეთს დაესხმებიან და თურქეთს ეს ყველაფერი ძვირი დაუჯდება," - განაცხადა ასადმა. სირიაში კონფლიქტი 2011 წლის გაზაფხულზე დაიწყო, რასაც, გაეროს მონაცემებით, 100 000 ადამიანი ემსხვერპლა.

სომეხმა დეპუტატმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საკუთარ პრეზიდენტს უხერხული კითხვა დაუსვა

Armenia Today-ს ინფორმაციით, სომეხი პარლამენტარი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში სომხეთის დელეგაციის წევრი ზარუი პოსტანჯიანი დელეგაციიდან იმის გამო გაირიცხება, რომ მან პრეზიდენტ სერჟ სარგსიანს კაზინოში 70 მილიონი ევროს წაგების შესახებ შეკითხვა დაუსვა. დეპუტატმა პრეზიდენტს სტრასბურგში ასამბლეის სხდომაზე ჰკითხა: „თქვენ აქ სომეხი ხალხის სურვილით კი არა, სომეხი ხალხის ხმების მოპარვით ხართ მოხვედრილი. მე ერთ შეკითხვას დაგისვამთ: იყავით თუ არა ცოტა ხნის წინ ევროპაში კაზინოში და წააგეთ თუ არა იქ 70 მილიონი ევრო? ვინ გადაიხადა ეს თანხა?"

მოამზადა თამთა კახაძემ

ლამპედუზასთან დაკარგული მიგრანტების ძებნა გრძელდება

პირველი გვერდიდან

გადარჩენილი მიგრანტები

მათი უმრავლესობა „აფრიკის რქიდანაა", უფრო კონკრეტულად, სომალის და ერიტრეას მოქალაქეები არიან. მიგრანტებს შორის ბავშვები და ფეხმძიმე ქალებიც იყვნენ.

გუშინდელი მონაცემებით, მაშველებმა გემზე მყოფი ადამიანების მესამედის გადარჩენა მოახერხეს, უკვე ნაპოვნია 113 ადამიანის ცხედარი, ხოლო 200 კაცი დაკარგულად მიიჩნევა. გემის ჩონჩხის „გადარჩენილი", დაახლოებით, 20 მეტრის სიგრძის ნაწილი კუნძულიდან, დაახლოებით, ერთ კილომეტრში ზღვის ფსკერზე დევს.

იტალის შინაგან საქმეთა მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა ანჯელინო ალფანომ განაცხადა, რომ უკვე დაკავებულია ტუნისის 35 წლის მოქალაქე, რომელიც გემზე შკიპერად მუშაობდა. როგორც ირკვევა, ის იტალიიდან აპრილში უკვე დეპორტირებული იყო და ახლა ევროპისკენ არალეგალი მიგრანტების ახალი ჯგუფი მიჰყავდა.

ლამპედუზა, დაახლოებით, შუა გზაზეა ლიბიის სანაპიროსა და სიცილიას შორის და ამ კუნძულზე არალეგალური მიგრანტების ბანაკი მდებარეობს. ეს არის აგრეთვე ერთ-ერთი უმოკლესი საზვაო გზა აფრიკიდან ევროპისკენ ხმელთაშუა ზღვის ცენტრში. იტალიის სანაპირო დაცვის სამსახურის ინფორმაციით, ეს გემიც იტალიისკენ ლიბიიდან მიცურავდა. სამწუხაროდ, ხუთშაბათს აფრიკელი ლტოლვილების გემს იტალიამდე სულ ცოტა დააკლდა.

ანჯელინო ალფანომ, რომელიც ტრაგედიის ადგილას ხუთშაბათსვე ჩავიდა, განაცხადა, რომ „ეს არა იტალიის, არამედ სრულიად ევროპის ტრაგედიაა. ლამპედუზა უნდა მივიჩნიოთ არა იტალიის, არამედ ევროპის ფორპოსტად." ქვეყნის ყველა სკოლაში წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გემის კატასტროფისას დაღუპულთა ხსოვნას. პრემიერ-ministrმა ენრიკო ლეტამაც მომხდარს „საშინელი ტრაგედია" უწოდა.

სამართალდამცავი ორგანოების ცნობით, ჩაძირვამდე გემს ცეცხლი მოეკიდა. „როგორც კი ხანძარი დაიწყო, ყველა მგზავრმა ამ პატარა გემის ერთი ნაწილისკენ გადაინაცვლა და წონასწორობის ასეთ დაკარგვას გემმა ვერ გაუძლო," - განაცხადა ანჯელინო ალფანომ.

ერთ- ერთი ქალი ერიტრეადან, რომელიც თავიდან დაღუპულად მიიჩნიეს და მისი სხეულიც ცხედრებს შორის მოათავსეს, შემდეგ ცოცხალი აღმოჩნდა. ახლა მას საავადმყოფოში მკურნალობენ კუნძულ სიცილიაზე.

გუშინ, შუადღისთვის, მაშველებს უკვე აღარ ჰქონდათ იმის იმედი, რომ კიდევ ვინმე გადარჩა. ლაპედუზაზე პროზეპტურაში ადგილები არ ეყოთ და ცხედრები ადგილობრივი აეროდრომის ანგარში მოათავსეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, დაღუპულებს შორის, სულ ცოტა, ორი ფეხმძიმე ქალი და სამი ბავშვია. სამაშველო ოპერაციის დაწყებისას ზღვაში ჯერ კიდევ ბევრი ცოცხალი ადამიანი იყო. ლამპედუზას მერმა ჯუზი ნიკოლინიმ განაცხადა, რომ მსხვერპლის რაოდენობა საშინელ შეგრძნებას იწვევს. მან კუნძულის სანაპირო სასაფლაოს შეადარა.

ტრაგედიას გამოეხმაურა რომის პაპი ფრანცისკე. ჯერ თავის ბლოგზე „ტვიტერში" მან კათოლიკებს მოუწოდა, ელოცათ ლამბედუზასთან გემის კატასტროფის შედეგად დაღუპულთა სულისთვის. მოგვიანებით ვატიკანისთვის გაკეთებულ განცხადებაში მან დაწერა: „ეს უსინდისობაა. ეს სამარცხვინოა!" ივლისში რომის პაპი უკვე იმყოფებოდა კუნძულზე და მან დაგმო მსოფლიოს გულგრილობა იმიგრანტების ბედის მიმართ, რომლებიც ევროპის სანაპირომდე მიღწევას ცდილობენ.

გაეროს უმაღლესმა კომისარმა ლტოლვილთა საკითხებში ანტონიუ გუტიერეშმა მაღალი შეფასება მისცა იტალიის სანაპირო დაცვის ოპერატიულ მოქმედებას. თუმცა მან ასევე თქვა: „გაოგნებული ვარ იმ მზარდი გლობალური ფენომენით, როცა მიგრანტები კონფლიქტს ან დევნას გაურბიან და ღია ზღვაში იღუპებიან."

ორშაბათს მსგავსი კატასტროფისას სიცილიის ნაპირებთან დაიღუპა 13 მიგრანტი ერიტრეადან. წელს, ზაფხულის საზღვაოსნო სეზონის პერიოდში, იტალიის სამხრეთ სანაპიროებამდე ათასობით არალეგალმა მიგრანტმა მიაღწია. ადრე შემოდგომაზე ზღვა ამ ადგილებში, ძირითადად, მშვიდია. გემები ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან იტალიის ნაპირებამდე, ფაქტობრივად, ყოველდღე ჩადიან. თუმცა ამ გემების უმრავლესობა დიდხანს ცურვისთვის არ არის აღჭურვილი და ამიტომ ბოლო წლებში ბევრი მიგრანტი დაიღუპა.

გაეროს მონაცემებით, მხოლოდ 2012 წელს 500-მდე ადამიანი დაიღუპა. ბოლო თვეებში ლტოლვილების ძირითად მასას შეადგენენ არა საჰარის სამხრეთ ზონაში მცხოვრები აფრიკელები, არამედ სირიისა და სომალის კონფლიქტების ზონიდან გამოქცეული ადამიანები. 30 სექტემბრის მონაცემებით, მხოლოდ ცხრა თვეში იტალიაში ზღვით 30100 მიგრანტი ჩავიდა. აქედან 7500 სირიის მოქალაქე იყო, ამდენივე - ერიტრეის და 3000 - სომალის.

„ბი-ბი-სის" მიხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ

ამერიკის საბიუჯეტო კრიზისი უკვე მსოფლიოსაც აშინებს

პირველი გვერდიდან

ეს უკანასკნელი პუნქტი რიგით ამერიკელებსაც ეხებათ, თუმცა უცხოეთში წასვლის მსურველი ამერიკელი, ვისაც მაინცდამაინც ამ კვირაში სჭირდება პასპორტის აღება, არც ისე ბევრია. ეს ყველაზე მძიმედ შეეხო იმ 800 ათას სახელმწიფო მოსამსახურეს, რომლებიც სამსახურიდან დროებით დაითხოვეს, თუმცა ყველას მაინც იმედი აქვს, რომ ეს „გაუგებრობა" დიდხანს არ გაგრძელდება.

ქვეყნისა და მსოფლიოს ეკონომიკისთვის ამერიკის ფედერალური მთავრობის მუშაობის შეჩერებაზე უფრო სერიოზული საფრთხე აშშ-ს ხელისუფლების დეფოლტის საშიშროება იქნება, რაც შეიძლება, 17 ოქტომბრიდან მოხდეს, თუ კონგრესი აღმასრულებელ ხელისუფლებას სესხის აღების ზედა ზღვარს (16,7 ტრილიონი დოლარი) არ გაუზრდის. ამისკენ კონგრესს მოუწოდებენ, როგორც მსხვილი ბიზნესის, ასევე საერთაშორისო საფინასო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი კრისტინ ლაგარდი მიიჩნევს, რომ თუ ამერიკელი პოლიტიკოსები დეფოლტის თავიდან აცილებას ვერ შეძლებენ, მაშინ გლობალურ ეკონომიკას შესაძლოა, სერიოზული ზიანი მიადგეს.

თუმცა, მსოფლიო ეკონომიკის შესახებ ლაგარდმა შედარებით ოპტიმისტურად ისაუბრა. მისი თქმით, სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ ევროზონის ქვეყნებშიც, სადაც მომდევნო წლებში ეკონომიკის 1 პროცენტით ზრდაა ნავარაუდევი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი უახლოესი დღეების განმავლობაში გეგმავს მორიგი პროგნოზის გამოქვეყნებას, სადაც გლობალურ ეკონომიკაში არსებული ვითარება დეტალურად იქნება გაანალიზებული.

საბიუჯეტო კრიზისის გამო აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა „აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის" სამიტს არ დაესწრება. ამის შესახებ 3 ოქტომბერს თეთრი სახლის პრესამსახურმა განაცხადა.

5 ოქტომბერს ობამას აზიის ოთხ ქვეყანაში ტურნე უნდა დაეწყო. პრეზიდენტი მალაიზიაში, ფილიპინებზე, ბრუნეისა და ინდოენეზიაში უნდა ჩაფრენილიყო, სადაც ის კუნძულ ბალიზე „აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის" სამიტს უნდა დასწრებოდა. ეს ტურნე ობამამ ჯერ კიდევ სამი დღის წინ „შეკვეცა" და იქიდან მალაიზია და ფილიპინები „ამოიღო." გუშინწინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ აზია-წყნარი ოკეანის სამიტის ფარგლებში ობამა შესაძლოა, სირიის საკითხზე სასაუბროდ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინსაც შეხვედროდა. ეს წინადადება რუსეთმა წამოაყენა და ამერიკელები დაეთანხმნენ, თუმცა საბოლოოდ ობამას ტურნეს მთლიანად გაუქმება მოუწია. მან ბოდიშის მოსახდელად პირადად დაურეკა ინდონეზიის პრეზიდენტსაც და ბრუნეის სულთანსაც. აზიის ქვეყნებში, ობამას ნაცვლად, ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი გაემგზავრება.

ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ფაქტობრივად, ყოველდღე გამოდის სიტყვით რომელიმე ორგანიზაციაში ან განცხადებას აკეთებს მედიისთვის. ის შექმნილ კრიზისში ცალსახად რესპუბლიკელებს ადანაშაულებს. მისი სიტყვებით, ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტს იმის გამო ვერ იღებენ, რომ რესპუბიკელების კონსერვატიული ფრთა ცდილობს, გააუქმოს ან გადადოს ობამას მთავარი მონაპოვარი - ჯანდაცვის სისტემის რეფორმა (Obamacare), რომელიც მთელი მოსახლეობის იძულებით დაზღვევას (დაუზღვევლობის შემთხვევაში კი ჯარიმას) ითვალისწინებს. თუ აქამდე პრეზიდენტი რესპუბლიკელების კონსერვატიულ ნაწილს - „ჩაის პარტიას" აკრიტიკებდა, გუშინწინ მთავრობის მუშაობის შეჩერებაში ბრალი დასდო ერთ პიროვნებას - კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერ ჯონ ბონერს, რომელმაც ფრაქციის წევრებს თავისუფლად, პარტიული პოზიციის გათვალისწინების გარეშე ხმის მიცემის ნება არ დართო. ობამა აცხადებს, რომ რესპუბლიკელებს შორის არის 12-ოდე კონგრესმენი, რომლებიც მზად არიან, მხარი დაუჭირონ ბიუჯეტის „დემოკრატებისეულ" ვარიანტს და ამ შემთხვევაში პრობლემა იხსნება. რესპუბლიკელები კი უსიტყვო კაპიტულაციაზე (რასაც ობამა მოითხოვს) არ მიდიან, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. ისინი სოციოლოგიურ გამოკითხვებს ეყრდნობიან, რომლებიც ცალსახად მიუთითებენ „ობამაკეარის" არაპოპულარობას მოსახლეობის დიდ უმრავლესობაში. თუმცა რესპუბლიკელებს ალბათ მაინც მოუწევთ დათმობაზე წასვლა 17 ოქტომბრისთვის, დეფოლტის საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

სემ ფიშერის კანასკნელი საქმე

გარდაიცვალა ტექნოტრილერის საუკეთესო წარმომადგენელი ტომ კლენსი

ია ვეკუა

...სიბნელეში მხოლოდ სამი მწვანე ნათურა მოჩანს. მათი განლაგება სამკუთხედს ქმნის და მხოლოდ ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ შეიძლება შენიშნო, რომ სამივე სინქრონულად, ძლივს შესამჩნევი ტრაექტორიით მოძრაობს. მწვანე განათება მხედველობას ართულებს, მაგრამ ნელ-ნელა მათ მამოძრავებელ თავს, შემდეგ კი მთელ სხეულს ლანდავ. სხეული ბნელ კუთხეშია გარინდული და თავდასხმისთვის შესაფერის მომენტს ეძებს. ეს მომენტი მალე დგება და ისიც შხამიანი გველის სისწრაფით ასრულებს საქმეს - მტერი გაუვნებელყოფილია, სემ ფიშერი ახალი მისიის შესასრულებლად ემზადება, ამ ისტორიის ავტორი კი გუშინ გარდაიცვალა.

როგორც სტივენ კინგი ჰორორის, ტომ კლენსიც თავისი ჟანრის მეფე იყო. ჟანრს ტექნოტრილერი ჰქვია. ეს გახლავთ ერთგვარი ჰიბრიდული ჟანრი, როდესაც ჯაშუშური ტრილერი, სამეცნიერო ფანტასტიკა, სამხედრო თემატიკა, ტექნოლოგიური ნოვაციები ერთად იყრის თავს. ამ ჟანრში მომუშავე ავტორები ძალიან კარგად უნდა ერკვეოდნენ ტექნიკურ საკითხებში, იცნობდნენ ჯაშუშების მუშაობის სპეციფიკას, მსოფლიო პოლიტიკას, საბრძოლო ხელოვნებას და ასე შემდეგ, რადგან სწორედ ჩამოთვლილი კომპონენტების დეტალური აღწერა და გაშლა ქმნის საუკეთესო ტექნოტრილერს, რაშიც ტომ კლენსის ფაქტობრივად ბადალი არ ჰყავდა.

სწორედ მისი პრაქტიკულად უალტერნატივობის გამოა, რომ ამ ჟანრის საუკეთესო ფილმები და ვიდეოთამაშები სწორედ ტომ კლენსის ნაწარმოებების მიხედვითაა შექმნილი.

როგორც წესი, ტომ კლენსის ნაწარმოებების გმირები გამოგონილ, თუმცა რეალურ (არა ფუტურისტულ, პოსტაპოკალიპტურ ან ანტიუტოპიურ) სამყაროში ცხოვრობენ. როგორც წესი, ეს სამყარო ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰგავს, ძირითადი პერსონაჟებიც ამერიკელებად შეგვიძლია მოვიხსენიოთ და მათი ბრძოლაც ძალიან ამერიკულია. ტომ კლენსის პრაქტიკულად ვერც ერთ ნაწარმოებში ვერ ნახავთ ამერიკული პოლიტიკის სრულ გამართლებას, რადგან ის ისლამის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ დამცველად მიიჩეოდა (ცნობილია მისი პროისლამური ინტერვიუ, რომელიც „სი ენ ენს“ 11 სექტემბრის ტერაქტიდან რამდენიმე საათში მისცა). გარდა ამისა, მეგობრობდა გენერალ ენტონი ზინისთან, რომელიც ანტიერაყული კამპანიის მძაფრი მოწინააღმდეგეა. მათ ორ წიგნზე ერთადაც იმუშავეს.

როგორც თანამედროვე ბესტსელერების ავტორებს, ტომ კლენსისაც უყვარდა უკვე არსებული პერსონაჟის შესახებ რამდენიმე ისტორიის შექმნა. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გმირია ჯეკ რაიანი. ეს პერსონაჟი პირველად 1984 წელს რომანში „ნადირობა „წითელ ოქტომბერზე“ გამოჩნდა, რომლის მიხედვითაც რამდენიმე წლის შემდეგ რეჟისორმა ჯონ მაკტირნენმა ამავე სახელწოდების მქონე ფილმი გადაიღო. აქ ჯეკ რაიანის როლს ალეკ ბოლდუინი თამაშობდა, მისი პარტნიორი კი შონ კონერი გახლდათ.

ორი წლის შემდეგ ჯეკ რაიანის შესახებ შექმნილი კიდევ ერთ რომანის, „პატრიოტთა თამაშების“ ეკრანიზაცია გადაიღეს, პროტაგონისტის განსახიერება კი ამჯერად ჰარისონ ფორდს დაევალა, რომელმაც მოგვიანებით სუპერჯაშუშის როლი კიდევ ერთხელ შეასრულა 1994 წელს გამოსულ „პირდაპირ და აშკარა მუქარაში“. 2002 წელს გამოსულ „ყველა შიშის საფასურში“ ჯეკ რანის სახეს ბენ აფლეკი ქმნის, ხოლო კრის პაინი წლევანდელ „ჯეკ რაიან: ნომერ პირველ აჩრდილში“ თამაშობს.

ტომ კლენსის კიდევ ერთი ყველაზე ცნობილი პერსონაჟი უკვე ნახსენები სემ ფიშერია. მას მსახიობი მაიკლ აირონსაიდი ახმოვანებს, მაგრამ არავინ თამაშობს, რადგან ფიშერი ვიდეოთამაშის გმირია, უფრო სწორად ჯაშუშების თემაზე შექმნილი ალბათ ყველაზე ცნობილი თამაშების სერიის გმირი.

სემ ფიშერის ისტორია 2002 წელს თბილისში დაიწყო - სწორედ რომ თბილისში, რადგან სუპერსაიდუმლო „მესამე ეშელონის“ საუკეთესო აგენტს პირველ დავალებაზე საქართველოში აგზავნიან. აქ მისი მისია ორი გაუჩინარებული აგენტის საქმის გამოძიება და საქართველოს კორუმპირებული პრეზიდენტის, კომბაინ ნიკოლაძის ლიკვიდაციაა. ასეც ხდება - სემ ფიშერი პრეზიდენტის რეზიდენციაში იპარება და ბატონ ნიკოლაძეს კლავს, წინააღმდეგ შემთვევაში მსოფლიო უდიდეს კატასტროფას ვერ გადარჩება.

სემ ფიშერის შესახებ ამჟამად შვიდი სრულყოფილი თამაშია გამოსული. ოდნავ მეტია Rainbow Six-ის სერიის თამაშების რაოდენობა. ასევე ცნობილია Ghost Recon-ის სერია და სხვა.

რაც შეეხება ფილმს, რომელშიც ჯეკ რაიანის როლს კრის პაინი ასრულებს, მისი რეჟისორი კენეტ ბრანა გახლავთ, ხოლო რელიზი დეკემბერშია დაგეგმილი. ამჯერად რაიანი ცოლთან ერთად მოსკოვში ცხოვრობს და იძიებს რუსი ბოროტმოქმედის საქმეს, რომელსაც ამერიკის ეკონომიკის სრული განადგურება და მსოფლიო ქაოსის გამოწვევა სურს.

CLOSE ENCOUNTERS 2013

ფესტივალის მთავარი ღირსებაც, დაარსებისთანავე, სწორედ ეს იყო: არანაირი სტილისტური მიკერძოება თუ უარყოფა, არც ჟანრული და არც ენობრივი; მუსიკის ერთიანობა განურჩევლად ეპოქისა, ენისა, ტექნოლოგიისა და ესთეტიკური მრწამსისა, მხატვრული თანაარსებობა და ურთიერთინტერესი, - აი კრედო, რომლითაც სულდგმულობს ეს ფესტივალი და რომელიც ყოველ ჯერზე ახლებურ გადაწყვეტას ჰპოვებს ხოლმე როგორც ავტორთა და შემსრულებელთა შერჩევის, ისე საფესტივალო პროგრამის დაგეგმვის მხრივ და ერთ მრავალფერ სპექტრად წარმოგვიდგენს ხოლმე მუსიკას, რომელსაც შეგნებულად ეწოდა „აქტუალური“, ნიშნად იმ თანამედროვეობისა და უბერებლობისა, ყოველი დროის ჭეშმარიტი მუსიკის მთავარ ატრიბუტად რომ გვევლინება.“ - აღნიშნავს წლევანდელი ფესტივალის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუსიკოსი, თბილისის კონსერვატორიის რექტორი რევაზ კიკნაძე.

წლევანდელ ფესტივალზე განსაკუთრებული მოვლენა არის მიხეილ შუღლიაშვილის მიერ 1975 წელს დაწერილი დიდი ქრომატიული ფანტაზიის (სიმფონია)“ პრემიერა. ამ ურთულესი ნაწარმოებით ავტორი ემიჯნებოდა სოციალისტური რეალიზმის სტილსა და მოთხოვნებს.

აქტუალური მუსიკის ფესტივალის მონაწილეები მუსიკალური სამყაროს მრავალფეროვნებას ან წინააღმდეგობებს პროგრამით ასახავენ. ერთი მხრივ პროგრამაშია მოცარტის საფორეპიანო კვარტეტი და ამავდროულად თანამედროვე ქართველი და შვეიცარიელი კომპოზიტორების ნაწარმოებები. კონცერტებზე დრო დაეთმობა მუსიკოსების იმპროვიზირებულ კომპოზიციებსაც.

ფესტივალში მონაწილეობს ცნობილი მონდრიანის ანსამბლიც, რომელიც ასრულებს როგორც კლასიკურ მუსიკას, ისე თანამედროვეს. ამ შვეიცარიული ანსამბლისთვის არაერთი ცნობილი კომპოზიტორი სპეციალურად წერს მუსიკას.

24 ოქტომბრიდან ფესტივალი ციურიხში გაგრძელდება,მაგრამ ვიდრე ეს მოხდება კონსერვატორიის მცირე დარბაზში დაგეგმილი კონცერტების გარდა, მუსიკოსებს ელით მცირე ტურნე საქართველოში. კონცერტები გორში, სიღნაღში, თელავში და ბორჯომში. ამას გარდა, თბილისში ჩაატარებენ რამდენიმე მასტერკლასს ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის.

24 საათი



„მარნეულის სასურსათო ქარხანა" - ქართულ-შვეიცარიული პარტნიორობის წარმატების მაგალითი

საწარმოს ორმოცდაათამდე ბიზნესმენი ეწვია

დღეს, მარნეულის სასურსათო ქარხანას" 50-მდე შვეიცარელი და ქართველი ბიზნესმენი ეწვია. ვიზიტი შვეიცარიის საელჩოს მიერ იქნა ორგანიზებული და ქართულ-შვეიცარიული ბიზნეს-ფორუმის ეგიდით განხორციელდა. ვიზიტის ფარგლებში მოეწყო მარგეებელი ჰოლდინგის" პრეზენტაცია, ტური მარნეულის სასურსათო ქარხანაში. დასასრულს ბიზნესმენებმა თელეთის ფერმა მარგებელს" დაათვალიერეს.

ქართულ-შვეიცარიული ბიზნეს ფორუმი, რომელიც დღეს დასრულდა შვეიცარიული კომპანიებისათვის და პოტენციური ინვესტორებისთვის უნიკალურ შესაძლებლობას წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური კლიმატისა და ინვესტირების შესაძ-

ლებლობების სიღრმისეული გაცნობისთვის. ღონისძიების მსვლელობისას, ორი დღის განმავლობაში, დაინტერესებული პირები პირადად გაესაუბრნენ საქართველოს მთავრობის, კერძო სექტორისა და ბაზარზე უკვე არსებული შვეიცარიული კომპანიების წარმომადგენლებს. ერთი-ერთი ასეთი სახის ვიზიტს მარგებელი ჰოლდინგში" შემავალი საწარმოების დათვალიერება წარმოადგენდა.

გიუნტერ ბეხლერი, შვეიცარიის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში: **ჩვენ აქ საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს-ფორუმის ფარგლებში ვიმყოფებოდით. საქართველოში ჩამოსულია უამრავი პოტენციური ინვესტორი, მათთან ერთად განვიხილეთ სხვადასხვა საკითხები ბიზნეს-სექტორის კუთხით. დღეს ჩვენ დავათვალიერეთ მარნეულის სასურსათო ქარხანა", რომელიც ქართულ-შვეიცარიული პარტნიორობის შედეგადაა დაფუძნებული. ეს საწარმო ჩვენთვის მშვენიერი მაგალითია იმისა, რომ ინვესტორები დარწმუნდნენ, თუ რა წარმატების მომტანია ანალოგიურ პროექტებში ინვესტიციის ჩადებას საქართველოში. ჩვენ ვამაყობთ მარგებელი ჰოლდინგით"**

მიხეილ სიმონიშვილი, მარგებელი ჰოლდინგის" ხელმძღვანელი: **დღეს გაიმართა პირველი ქართულ-შვეიცარიული ბიზნეს-ფორუმი საქართველოში. საწარმოს 50 -მდე შვეიცარელი ინვესტორი და ბიზნესმენი სტუმრობდა. დაათვალიერეს მარნეულის სასურსათო ქარხანა", რომელიც ქართულ-შვეიცარული მარგებელი ჰოლდინგის" მნიშვნელოვანი ნაწილია და ამ თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს. უკვე განიხილება სხვადასხვა პროექტები, რომელსაც ერთობლივად სულ მალე განვახორციელებთ".**

ირინე გაფრინდაშვილი, მარნეულის სასურსათო ქარხნის" დირექტორი": **საკმაოდ საინტერესო ტური შედგა. ესენი არიან დაინტერესებული ადამიანები, რომელთაც სურვილი აქვთ ერთობლივად პროექტების განხორციელებისა. დაათვალიერეს საწარმოს წარმოების პროცესი. ამჯერად, კიტრის წარმოების აქტიური სეზონია. გაეცნენ ჩვენი ჰოლდინგის ისტორიას, განიხილეს ყველა იმ კომპანიის საქმიანობა, რომელიც ამ ჰოლდინგის ნაწილია. ვიზიტმა წარმატებულად ჩაირა. მათთან თანამშრომლობა აუცილებლად შედეგება, რადგან ისინი იმ საინვესტიციეო შესაძლებლობებს ეცნობიან საქართველოში, რომლის პოტენციალიც ჩენს ჰოლდინგს გააჩნია."**

„შენარჩუნება" - პროგრამა, მიზანი, ვალდებულება

ზაზა ფაჩუაშვილი

ყრილობა რაგინდ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, კერძო შემთხვევა და კონკრეტული მაგალითი მაინც საინტერესო წასაკითხია: ათი კვირის ორსულმა წელის არეში ტკივილებით მიაკითხა ცნობილ მეან-გინეკოლოგს, მოუცლელ პრაქტიკოსს და მადლიერი პაციენტებით უაღრესად დატვირთულს. მან შეშფოთებულ ქალს მშვიდად მოუსმინა, გასინჯა და ერთი ამპულა „დიკლოფენაკის" ინექცია ურჩია.

„ეგ წამალი ნაყოფზე ხომ ამ იმოქმედებს," - შეჰბედა ორსულმა. „შებედვა" გამოწვეული იყო არა ექიმის პატივმოყვარეობით, ვინაიდან ის მეტად თავმდაბალი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, არამედ მის კაბინეტთან შექმნილი ფანატური მდგომარეობით. მიღების მომლოდინე უამრავი ორსული ერთმანეთს ეჯიბრებოდა ღვთისნიერი ექიმის ქებაში, რომელიც, სხვა კოლეგებისგან განსხვავებით, ექოს მესამედ ფასში აკეთებს, დიაგნოზს სვამს (როგორც ამბობენ - ზუსტს), უფასო კონსულტაციას ატარებს და მკურნალობას ნიშნავს. ორსულს სამედიცინო დაწესებულებაში ასეთი სრული პროცესის გავლისას 3-4 სპეციალისტთან მაინც მოუწევდა მისვლა და შეუდარებლად მეტი ფულიც დაუჯდებოდა. **„არა, რას ბრძანებთ, „დიკლოფენაკი" ნაყოფისთვის უსაფრთხოა და თავისუფლად შეგიძლიათ, გაიკეთოთ,"** - დაარწმუნა ფეხმძიმე ქალი სერიოზულმა ექიმმა.

დაიმედებულმა ორსულმა იმ დღესვე შეასრულა ექიმის რეკომენდაცია და ტკივილმა, მართლაც, საგრძნობლად მოუკლო. მაგრამ ორიოდ დღეში სისხლდენა დაეწყო და იძულებული გახდა, აღქმული ექიმი შეეწუხებინა.

„ნუ ღელავთ, არაფერია, გაგივლით," - მოისმა ყურმილში ექიმის მშვიდი ხმა, მაგრამ ფრთხილმა ორსულმა მაინც მიაკითხა. ურიგოდ შეიყვანეს და ისეთი სერიოზულობით გასინჯეს, რამეში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო. რა უთხრა ექიმმა? - **„გულისცემა ცოტა შესუსტებულია, მაგრამ საგანგაშო არაფერია. დავაკვირდეთ და ერთი კვირის შემდეგ მოდით, გაგსინჯავთ. რაც შეეხება სისხლდენასო, ორსულებში იცის. სამსახურშიც შეგიძლიათ ჩვეულებრივ სიარული."**

სისხლდენა რომ გაძლიერდა, შიშმა ორსულს სხვა ექიმთა არსებობაც გაახსენა, რომლებმაც თქვეს, „დიკლოფენაკის" გაკეთება არაფრით შეიძლებოდაო. მერე იყო სხვა კლინიკა, სხვა ექო, გულისცემის შეწყვეტისა და ნაყოფის დაღუპვის დიაგნოზი და... მოსაჭიდებელი ხავსის ძებნა - იქნებ, შეცდნენ ეს სხვები?! ხავსის ფუნქცია ისევ იმ ძველმა და კეთილმა გინეკოლოგმა შეასრულა, რომელმაც სხვების დიაგნოზი დაადასტურა, მხრები გაკვირვებით აიჩეჩა, სრულიად ჯანმრთელი ნაყოფი იყოო და აბორტი ნახევარ ფასად გააკეთა, მაგრამ კეთილშობილურობის ამ მორიგმა საქციელმაც კი ვერ იხსნა მისი ავტორიტეტი იმედგაცრუებული ორსულყოფილის თვალში და მომდევნო ფეხმძიმობისას მან მეთვალყურედ „ჩაჩავას ინსტიტუტი" და მისი ერთ-ერთი ექიმი აირჩია. მართალიც გამოდგა, ყოველგვარი გართულების გარეშე ულამაზესი ბავშვი შვა.

* * *

„ეს არის საქართველოს მეან-გინეკოლოგთა მეხუთე ყრილობა. ფაქტობრივად, გეგმიურია, მაგრამ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, მაინც გამორჩეულ მნიშვნელობას იძენს. კარგა ხანია, მედიცინაში და კერძოდ, მეანობა-გინეკოლოგიაში იმდენად ძირეულ და მრავალფეროვან ძვრებთან გვაქვს საქმე, რომ ჩვენთანაც აუცილებელი გახდა ამ სიახლეების პრაქტიკაში დანერგვა. შეიცვალა მიდგომები და მკურნალობის ხერხები. მთელი განვითარებული მსოფლიოს სამედიცინო საზოგადოება ხელმძღვანელობს მტკიცებით მედიცინაზე დაფუძნებული მეთოდებით. დღეს მიუღებელი გახდა ის, რაც ადრე დასაშვები იყო. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პროფესიულმა ასოციაციებმა," - ამბობს საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, „ჩაჩავას" ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი პალიკო კინტრაია. მან ასოციაციის სახელით მოიწვია ერთობლივი ყრილობა მეანების, გინეკოლოგების, ნეონატოლოგებისა, პედიატრების და დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სფეროსთან დაკავშირებული სხვა კოლეგებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით. ამგვარ წარმომადგენლობით კონფერენციაზე არაერთი საქმიანი, კონკრეტულობისა და პრაქტიკულობის ნიშნით გამორჩეული მოხსენება გაკეთდა. მაგრამ მანამდე ყველა გამომსვლელმა ერთსულოვანი აპლოდისმენტებისთვის „განწირული" მისალოცი გააჟღერა, რომელიც პროფესორ პალიკო კინტრაიას საიუბილეო 80 წლისთავს ეძღვნებოდა.

* * *

მტკიცებითი მედიცინა გარანტიაა იმისა, რომ ზემოთ ნახსენები, „დიკლოფენაკით" გამოწვეული სავალალო შემთხვევა აღარ განმეორდეს. თუ ჩვენთანაც დაინერგება მკურნალობის ერთიანი სტანდარტი, პაციენტის ჯანმრთელობა ერთი კონკრეტული ექიმის პროფესიონალიზმზე კი არა, ჯანდაცვის გამართულ სისტემაზე იქნება დამოკიდებული, რომლის ფარგლებშიც შეცდომის ალბათობა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

2010 წლის სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირებულია, მაგრამ ევროპის განვითარებული ქვეყნების მონაცემებს მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება. მიზეზი არაერთია: შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, პაციენტის სანიტარიული გაუნათლებლობა, ექიმის დაბალი კვალიფიკაცია, მედპერსონალის გულგრილობა. თუ პირველი ორი მიზეზის აღმოფხვრა უშუალოდ ქვეყნისა და ადამიანის განვითარებაზეა დამოკიდებული, დანარჩენის არსებობა ყოვლად გაუმართლებელია. ამიტომ, როგორც ყრილობაზე აღინიშნა, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების რესურსი რეალურად არსებობს და ეს შანსი აუცილებლად მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. გამომსვლელთა განცხადებით, მუშაობა სწორედ ამ მიმართულებით წარიმართება და შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებები, ლიცენზირებასთან ერთად, აკრედიტაციას გაივლიან. იქვე განიმარტა განსხვავება ამ ორ პროცესს შორის: ლიცენზირება სავალდებულო, ერთჯერადი პროცესია და მინიმალური პირობების არსებობაა აუცილებელი; აკრედიტაცია კი ნებაყოფლობითია და მუდმივად ენიჭება მაქსიმალური სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში. განვითარებულ ქვეყნებში კლინიკები ფულსაც კი იხდიან იმისთვის, რომ აკრედიტაცია გაიარონ. ეს მათ მიმართ პაციენტთა ნდობის ხარისხს ამაღლებს.

აკრედიტაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები ამ თვეში დაიწყება, თავად პროცესი - დეკემბრიდან. აკრედიტაცია ითვალისწინებს ყველა იმ სტანდარტს, რომლებიც პაციენტის სათანადო მკურნალობისთვის არის აუცილებელი. ცხადია, მედპერსონალის განათლების მაღალი დონეც იგულისხმება. კონფერენციაზე გულახდილად და საქმიანად ისაუბრეს კიდევ მრავალ საჭირბოროტო საკითხზე, რასაც დედათა და ბავშვთა სიცოცხლის შენარჩუნება უნდა მოჰყვეს. აკი, ასევე ჰქვია პროგრამას, რომლის განხორციელება აღნიშნული ყრილობით და ჯანდაცვის სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროფესიული ასოციაციების ერთობლივი ძალისხმევით დაიწყო.

მოთხილამურეთა ნაკრები ავსტრიაში გაივლის შეკრებას

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა სამთო სათხილამურო ფედერაციის პრესკონფერენცია, რომელსაც დაესწრო მინისტრი ლევან ყიფიანი და ჟურნალისტების შეკითხვებს სამთო სათხილამურო ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად უპასუხა. პრესკონფერენციის თემა იყო საქართველოს სამთო მოთხილამურეთა ნაკრები, რომელიც ზამთრის სეზონისთვის მზადებას განაგრძობს.

10 ოქტომბერს საქართველოს უფროსი და იუნიორთა ნაკრები გუნდები ავსტრიის კურორტ ჰინტერტუქსში მყინვარზე სავარჯიშოდ გაემგზავრებიან. მთელი წლის მანძილზე ამ ადგილს სავარჯიშოდ მსოფლიოში გამორჩეული მოთხილამურეები ირჩევენ და ამ პერიოდში კურორტი ჰინტერტუქსი სამთო მოთხილამურეთა სიმრავლით გამოირჩევა.

სამთო სათხილამურო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ეროვნულ ნაკრებს სავარჯიშოდ ჰინტერტუქსში შეუერთდება სნოუბორდელი რევაზ ნაზღაიძეც, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის სარეიტინგო ქულების მოგროვებას გეგმავს.

26-27 ოქტომბერს ავსტრიის კურორტ ზოლდენში ჩატარდება მსოფლიო თასის პირველი ეტაპი გიგანტურ სლალომში, სადაც იგეგმება ქართველი მოთხილამურეების მონაწილეობა. ქართველი მოთხილამურეები ავსტრიაში 30 ოქტომბრამდე დარჩებიან. საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS-ის) მიერ ორგანიზებული შეჯიბრებები კი ნოემბერში დაიწყება.

საქართველოს სათხილამურო ფედერაცია, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პარტნიორობით და კომპანია „სილქნეტის“ გენერალური სპონსორობით, სპორტსმენთა ვარჯიშების ორგანიზებას ევროპის სხვადასხვა მყინვარებზე მთელი წლის მანძილზე ახორციელებს.

msy.gov.ge

მოკრივეები რვა კაცით მსოფლიოსთვის ემზადებიან

საქართველოს მოკრივეთა ნაკრებს მინსკის ევროპის ჩემპიონატზე წარუმატებლობის შემდეგ გაცილებით რთული გამოცდის ჩაბარება მსოფლიო ჩემპიონატზე მოუწევს. მთავარი დაპირისპირებებისთვის ყაზახეთის ქალაქი ალმათი (14-26 ოქტომბერი) ემზადება. გლდანში, DKD-ის დარბაზში ემზადება საქართველოს ნაკრები, რომელიც ალმათიში 8-კაციანი გუნდით ჩავა.

„ევროპის ჩემპიონატზე წარუმატებლობამ გუნდზე ცუდად იმოქმედა. იმდენად ცუდად, რომ რამდენიმე მათგანს კრივისთვის თავის დანებებაც კი უნდოდა, - ამბობს დავით წიკლაური, რომელიც ნაკრებს ორი თვის წინათ ჩაუდგა სათავეში (მანამდე თბილისის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი იყო). - აუცილებელი იყო ბიჭების ფსიქოლოგიური წნეხიდან გამოყვანა, მდგომარეობის შეცვლა. პირველი ორკვირიანი საგანგებო შეკრება ქობულეთში გავიარეთ. შემდეგ ფიზიკურ-ტაქტიკურ მომზადებას თბილისში შევუდექით, რასაც მოჰყვა საწვრთნელი შეკრება დუშეთში, სადაც შეირჩა კიდეც პირველი რვა მოკრივე, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს.

მსოფლიო ჩემპიონატისთვის შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მოვემზადეთ. დანარჩენი ალმათის რინგზე გამოჩნდება“.

ნაკრები თბილისში, DKD-ის კლუბში ემზადება. მწვრთნელთა საბჭომ მსოფლიო ჩემპიონატისთვის ნაკრების წევრთა მოსამზადებლად სპარინგ-პარტნიორობისთვის ორმოცამდე მოკრივეს უხმო.

ჩემპიონატი ახალი წესებით ჩატარდება. ეს წესები გულისხმობს ასპარეზობას ჩაფხუტის გარეშე, რომელიც სამოყვარულო კრივში ორი ათეული წლის წინათ დაინერგა.

საქართველოს ნაკრები:

52 კგ.
სევერიან ჭილაძე
56 კგ.
ბექა ჭუბაბრია
60 კგ.
გიორგი გოგატიშვილი
69 კგ.
ზაალ კვაჭატაძე
75 კგ.
ჯაბა ხოსიტაშვილი
81 კგ.
იაგო კიზირია
91 კგ.
ლევან გულედანი
+91 კგ.
მიხეილ ბახტიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო განცხადება

უკანასკნელი დღეების განმავლობაში, სოფელ დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენების გამო, ჩვენ, როგორც საქართველოში ფეხბურთის მმართველმა უპირველესმა ორგანომ, საჭიროდ მივიჩნიეთ ჩვენი მოქალაქეობრივი პოზიცია დაგვეფიქსირებინა იმ განუზომელი ბოროტების წინააღმდეგ, რაც ამ ქართულ სოფლებში რუსი ოკუპანტების მიერ ხორციელდება.

ფეხბურთი ყოველთვის იყო ერებისა და ხალხების გამაერთიანებელი სპორტის სახეობა, რომელშიც წარმოუდგენელი იყო ეროვნებისა და პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით ხალხის დაყოფა და ჩაგვრა. ქართული ფეხბურთის უდიდესი თარიღი, 1981 წლის 13 მაისი, სწორედ ორმა დიდმა ქართველმა - ეროვნებით აფხაზმა ვიტალი დარასელიამ და ეროვნებით ოსმა ვლადიმერ გუცაევმა შექმნეს. დღეს დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენები კი ჩვენი, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქეების აღშფოთებასა და წუხილს იწვევს.

ქართულ სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების მხარდასაჭერად და სოლიდარობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-8 ტურის მატჩები, რომლებიც 6 ოქტომბერს, საქართველოს ექვს ქალაქში - რუსთავში, ქუთაისში, ქობულეთში, განმუხურში, მარტვილსა და მცხეთაში ჩატარდება, გაიმართება ლოზუნგით „დიცი და დვანი საქართველოა“.

ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის თორმეტივე გუნდის ფეხბურთელები მატჩებს სწორედ ამ წარწერის მქონე მაისურებით დაიწყებენ და ეს იქნება ქართული საფეხბურთო ოჯახის მტკიცე პოზიცია და სოლიდარობა დიცისა და დვანის მოსახლეობის მიმართ.

სფფ-ის პრესსამსახური

ჰაიდელბერგცემენტმა ფარგლებში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და გერმანიის საელჩოსთან მემორანდუმი გააფორმა

„თბილისიმარათონი“ აქტიურ ფაზაში შედის

„ჰაიდელბერგცემენტ კავკასუსმა“ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და გერმანიის საელჩოსთან „თბილისიმარათონის“ ფარგლებში გრძელვადიან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმს ხელს მოაწერეს კომპანიის დირექტორმა მიხაელ ჰამპელმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა და გერმანიის ელჩმა ორთვინ ჰენიგმ.

მემორანდუმის მიზანია ჰაიდელბერგცემენტის მიერ ორგანიზებული სპორტული ღონისძიების „თბილისიმარათონის“ განვითარება, ხელშეწყობა და მჭიდრო გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება.

„ჰაიდელბერგცემენტი ზრუნავს ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის. სწორედ ამის ნათელი მაგალითი იყო ქვეყანაში პირველი მასშტაბური ნახევარმარათონის გამართვა, რომელმაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. სამინიტროსთან და გერმანიის საელჩოსთან ჩვენი შემდგომი თანამშრომლობა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს საზოგადოების სტიმულირებასა და მათ ჩართულობას სპორტში. დაინტერესება საკმაოდ დიდია, წელს გვეყოლება ახალი სპონსორებიც, შესაბამისად, ეს მოგვცებს საშუალებას კიდევ უფრო წავახალისოთ გამარჯვებულები,“ - აღნიშნავს „ჰაიდელბერგცემენტის“ კომუნიკაციების მენეჯერი ნინო სუბელიანი.

მემორანდუმის თანახმად, „თბილისიმარათონი“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და გერმანიის საელჩოს პატრონაჟითა და ოფიციალური მხარდაჭერით ჩატარდება, რაც მოიცავს სამინისტროს მხრიდან „თბილისიმარათონის“ საკომუნიკაციო მხარდაჭერას სამთავრობო სტრუქტურების, ფედერაციების, სპორტული კლუბების ჩართულობისთვის. გერმანიის საელჩო მზად არის „თბილისიმარათონის“ ფარგლებში უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელება გერმანულ კომპანიებთან და ასოციაციებთან საქართველოში. მხარეები მემორანდუმის მიზნების განსახორციელებლად აქტიურად ითანამშრომლებენ, მოახდენენ იდეების გაცვლასა და კონკრეტული ამოცანების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს როგორც აღნიშნულ სფეროს, ასევე ზოგადად, საქართველოში სპორტის განვითარებას.

„ჩვენი თანამშრომლობა ემსახურება, როგორც ახალგაზრდობის, ასევე პროფესიონალებისა და ზოგადად, საზოგადოების სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობის მიზანს. ჩვენი მომავალი თანამშრომლობის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სპორტული ღონისძიების, „თბილისიმარათონის“ განვითარებას საქართველოში, რაც ერთგვარი ხელშემწყობი პირობაა ქვეყნის პოპულარიზაციისა და ტურიზმის განვითარებისთვის“ - მიაჩნიათ სამინისტროში.

„მსოფლიოში ანალოგიური მარათონები ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას. „თბილისიმარათონი“ მსოფლიო მარათონების კალენდარშია შესული, რაც ხელს უწყობს საქართველოს, მათ შორის თბილისის პოპულარიზაციას ტურისტული ქვეყნებისა და ქალაქების რუქაზე“ - აღნიშნა **ორთვინ ჰენიგმ.**

მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალს ასევე დაესწრნენ „ჰაიდელბერგცემენტის“ გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორი ირაკლი მახარობლიძე, კომპანიის კომუნიკაციების მენეჯერი ნინო სუბელიანი, ფონდი „იავნანას“ პრეზიდენტი პაატა ბურჭულაძე და „თბილისიმარათონის“ მხარდამჭერი კომპანიები და სპონსორები.

ამ დღესვე ცნობილი გახდა რამდენი ადამიანი და კომპანიაა უკვე დარეგისტრირებული (www.tbilisimarathon.ge) შედეგი შთამბეჭდავია - „თბილიისმარათონი“ აქტიურ ფაზაში შედის: 1000-ზე მეტი, უცხოელი სტუმრები 25 -მდე ქვეყნიდან და 20-ზე მეტი კომპანია (საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური; საქართველოს პროკურატურა; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრი; სასტუმრო შერატონი; გერმანიის საელჩო საქართველოში; შვედეთის საელჩო საქართველოში; ამერიკის საელჩო საქართველოში; ბანკი რესპუბლიკა სოსიეტე ჯენერალი; ენერგო პრო ჯორჯია; საკონსულტაციო კომპანია ჯეპრა; ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი - გაუ - PR სკოლა; ჯომარდობის ფედერაცია; ვექტორი; ფაინანშალს ბროქერს ჯორჯია; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედო; მედიქლაბ ჯორჯია; საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU;)

„თბილისიმარათონში“ მონაწილეობის მისაღებად. სპეციალურად ამ დღისთვის გაიხსნება სარეგისტრაციო სტენდი და მოწვეულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ თავიანთი მონაწილეობა ნახევარმარათონში ადგილზე დააფიქსირონ. „თბილისიმარათონი“ ამავდროულად საქველმოქმედო ხასიათს ატარებს. თითოეული დარეგისტრირებული ადამიანი ქველმოქმედების მონაწილე ხდება, რადგან რეგისტრაციიდან შემოსული თანხა - ყოველი 10 ლარი ორმაგდება „ჰაიდელბერგცემენტის“ მიერ და საქველმოქმედო ფონდ „იავნანაში“ ირიცხება.

პაატა ბურჭულაძე - „ფონდ იავნანას“ პრეზიდენტი:

„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ჰაიდელბერგცემენტის“ ადმინისტრაციას, „თბილისიმარათონის“ ყველა ორგანიზატორსა და მონაწილეს, წინა მარათონზე შემოსული თანხით ჩვენ დავეხმარეთ სამ მრავალშვილიან ოჯახს და წელს იმედი მაქვს უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება ამ ღონისძიებაში, რადგან თითოეული მათგანი ავტომატურად ფონდ „იავნანას“ 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ტელემარათონის მხარდამჭერი გახდება, „ჰაიდელბერგცემენტი“ კი გენერალური სპონსორი. .. და ჩვენ ყველანი ერთად 2014 წლის 3 მარტს პირდაპირი ეთერის მსვლელობისას ვნახავთ „თბილისიმარათონზე“ შემოსული თანხით თუ როგორ დავეხმარებით ჩვენი ფონდის მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვებს.“

„თბილისიმარათონი“ პირველად 2012 წლის 28 ოქტომბერს თბილისის ზღვის ტერიტორიაზე გაიმართა. მარათონში 500-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. მათ შორის იყო მრავალი უცხოელი სტუმარი - საელჩოებისა და ბიზნესკომპანიების წარმომადგენელები. მონაწილეებმა 21 კილომეტრიან დისტანციაზე ირბინეს. ნახევარმარათონში გამარჯვებულები კომპანიამ ციფრული და კომპიუტერული ტექნიკით დაასაჩუქრა. მნიშვნელოვანია, რომ „თბილისიმარათონმა“ ტრადიციული სახე მიიღო და ყოველწლიურად გაიმართება.

ჰაიდელბერგცემენტი არის სამშენებლო მასალების წარმოების ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი გლობალურ ბაზარზე და შედის ცემენტისა და ბეტონის მწარმოებელთა სამეულში მსოფლიოს მასშტაბით. კომპანიის კუთვნილ 2500 საწარმოში, რომლებიც მსოფლიო 40 ქვეყანაში არის განთავსებული, 53 000 თანამშრომელია დასაქმებული. საქართველოში ჰაიდელბერგცემენტი 2006 წლიდან მოღვაწეობს და მართავს 3 ცემენტისა და 4 ბეტონის ქარხანას.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink